

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ეკონომიკისა და ქონების მართვის კომისიის სხდომის

ოქმი N 5

ქ.თელავი

2016 წლის 21 აპრილი

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე ვასილ არაბული

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: სესე ჩახუტაშვილი, ბიძინა პაპაშვილი,
მერაბ თუშიშვილი, ზაზა რაიბული,
მურაზ მუსაევი

ასევე ესწრებოდა: გამგეობის ქონების მართვის განყოფილების უფროსი ბიძინა
ხატიაშვილი

დღის წესრიგი:

1. თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის მიერ 2015 წლის
ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში.

მომხს: ვ. არაბული

მოსმინეს:1. თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის მიერ 2015 წლის
ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში.


მომხს: ვ. არაბული

ვ. არაბულმა კომისიის წევრებს გააცნო გამგეობიდან წარმოდგენილი პროექტი.

აზრი გამოთქვას: მ. თუშიშვილმა აღნიშნა, რომ სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განხორციელებულ პროექტში არის უზუსტობა ვინაიდან თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის სოფ. ვარდისუბანში შიდა საუბნო გზის მოასფალტება (პროექტის სავარაუდო ღირებულება 5347 ლ.) არ მომხდარა.

გადაწყვიტეს: თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის მიერ 2015 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის პროექტი შეფასდეს დამაკმაყოფილებლად და ზემო აღნიშნული შენიშვნის გათვალისწინებით წარედგინოს საკრებულოს.

კომისიის თავმჯდომარე



ვასილ არაბული